შპს „რ-რადიო“

№ 04–17

„13“ ნოემბერი 2014 წ.

საქართველოს კომუნიკიციების ეროვნული კომისიის
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ აკაკი სიხარულიძეს

ბატონო აკაკი,

მივიღეთ თქვენი 13. 11. 2014 წლის №04/2345–14 წერილი. აღნიშნულ წერილში მითითებულ ვადებში გაწვდით უკანასკნელი ერთი კვირის არქივს (ეთერის ჩაწერა: 06.11.2014 წლიდან – 13.11.2014 წლამდე) ციფრულ მატარებელზე (3 დისკი თან ერთვის).

მოგახსენებთ, რომ „რ–რადიო“–სა და თქვენს წერილში აღნიშნულ „რადიო სპუტნიკს“ შორის არ არსებობს არანაირი ხელშეკრულება. სავარაუდოდ, საუბარია ჩვენსა და შპს “საერთაშორისო ინფორმაციის სააგენტო ნიუსჯორჯია”–ს შორის ზეპირი შეთანხმების შესახებ. ამ შეთანხმების საფუძველზე ჩვენს ეთერში ერთთვიანი საცდელი ვადით ყოველდღიურად 4 საათის განმავლობაში (07:00 – 08:00; 20:00 – 21:00; 2100 – 22:00; 22:00–23:00) გადის გადაცემები საფირმო ბრენდ–ნეიმით: „რადიო–სტუდია სპუტნიკი საქართველო“. ეს გადაცემები საცდელი მაუწყებლობის ხასიათს ატარებს.

„რადიო–სტუდია სპუტნიკი საქართველო“ არ არის მაუწყებელი. ის მხოლოდ სტუდიაა, რომელიც ამზადებს აუდიო გადაცემებს. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით გადაცემების მომზადება ხორციელდება შპს „სინდიკატი 104,3“ მატერიალურ–ტექნიკურ ბაზაზე (ქ. თბილისი, ატენის ქ. №18ა).

შეთანხმების თანახმად, თანამშრომლობა ჩვენსა და შპს “საერთაშორისო ინფორმაციის სააგენტო ნიუსჯორჯია”–ს შორის დაიწყო 01. 11. 2014 წელს. შესაბამისად, მათ პირველი გადაცემა უნდა მოეწოდებინათ 01. 11. 2014 წელს. თუმცა „რადიო–სტუდია სპუტნიკი საქართველო“–ს ბრენდ–ნეიმით მომზადებული გადაცემები ჩვენ ეთერში პირველად 04. 11. 2014 წელს გავიდა. შპს “საერთაშორისო ინფორმაციის სააგენტო ნიუსჯორჯია”–ს განმარტებით დაგვიანების მიზეზს ტექნიკური სახე ჰქონდა.

ჩვენ გამოვთქვამთ გაკვირვებასა და შეშფოთებას მასს–მედიაში გავრცელებული არასწორი ინფორმაციისა და არაჯანსაღი აჟიოტაჟის გამო. კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციით 10. 11. 2014 წლიდან საქართველოში უცხოური სახელმწიფო მაუწყებელი სახელწოდებით „Sputnik“–ი შემოვიდა, რომელიც, თითქოს მაუწყებლობს 101,4 მგჰც სიხშირის თალღაზე. ეს ინფორმაცია არ წარმოადგენს სინამდველეს.

ეროვნული №6/6618.10
14 11 2014
ბ+3 ფურცელი